მემარცხენე სოც.-ფედ. ქართ. პარტ. პარტია

წელიწადი პირველი

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვითურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი უველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის უუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან.
4 „ 150,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 502 პარასკევი, ივნისის 22 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

საგედისწერო უურესთან

საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა ამ ჟამად მეტად გართულებულია. მართალია, მსოფლიოს ცხოვრებაში არასოდეს არ ყოფილა სრული მშვიდობიანობის შემთხვევა. მოწინააღმდეგე ძალთა დაპირისპირება გამუდმებულად სწარმოებს, განსაკუთრებით კაპიტალისტურ კულტურის აღორძინების ისტორიის გასწვრივ. ევროპიული ომი ლოგიკური შედეგი იყო მთელ ათეულ წლეების განმავლობაში წარმოებულ მზადებისა. კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ ქვეყნიერებამ მიაღწია დავაჟკაცების უმაღლეს წერტილს, რომლის მიღმა ფინანსიურ არისტოკრატიისათვის იწშება შემდეგი განვითარების კარები.

მაგრამ უფრო თვალსაჩინოთ შეიქნა „ძველი ქვეყნის“ შინაგანი წინააღმდეგობა მას შემდეგ; რაც იარაღის ჟღარუნი „შეწყდა“ და დანგრეულ შენობის კვლავ აშენებაზე მიდგა საქმე. ომისაგან დასუსტებულ-დაქანცული, ეკონომიურად დაცემული ბურჟუაზიული სახელმწიფოები შეეცადა საერთო ხაზის გამონახვას. მაგრამ მათ დღემდე მიზანს არ მიუღწევიათ. ყოველი კაპიტალისტური ქვეყანა საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს, განსხვავებული მოტივებით მოქმედობს. თვით ისეთი კავშირი, როგორიცაა „ანტანტა“, მოკლებულია გაერთიანების მტკიცე საფუძვლებს. ინგლისის პოლიტიკა არ არის ჰარმონიულ მიმართებაში საფრანგეთის პოლიტიკურ კურსთან.

თავის მხრით იმპერიალისტური საფრანგეთიც სცდილობს „სამაგიეროს“ გადახდას. საბჭოთა რუსეთის საკითხი, სარეპარაციო პრობლემა, ოკუპაციის ამოცანა და მთელი რიგი მწვავე საკითხებისა გადაწყვეტილია ანტანტის სახელმწიფოების წინაშე. არც ერთ საკითხში არაა შეთანხმება, საერთო ტონის აღება. უეჭველია, ამას აქვს სათანადო მიზეზი. ბურჟუაზიული დიპლომატია მოქმედობს რეალი ინტერესების კარნახით, საკუთარი უტილიტარისტული თვალსაზრისის გამარჯვებით. მსოფლიო ღირებულების მქონე ამოცანების გადაწყვეტას განსხვავებული მეთოდებით უდგებიან თანამედროვე კაპიტალისტური ცხოვრების მესაჭეები, რადგან სხვა და სხვა ხერხებით საკითხის გადაჭრა იძლევა სხვა და სხვა ხარისხის და მნიშვნელობის შედეგებს.

გერმანეთის მდიდარი ოლქის—რურის მიდამოების ოკუპაცია საბედისწერო ნაბიჯი შეიქნა საფრანგეთისათვის. ოკუპანტებმა ვერ გაინაღდეს დასახული მიზნები, ვერ შესძლეს იმის განხორციელება, რაც შეადგენდა ოკუპაციის ვრცელ გეგმას. ნახშირი საფრანგეთის ინდუსტრიისათვის მაინც საოცნებო საგნად დარჩა, რურის პროლეტარიატმა ღირსეული პასუხი გასცა ძალ-მომრეობის მესვეურებს.

მეორე მხრით, ოკუპაციის პოლიტიკამ გამოუვალ ჩიხში ჩააყენა საფრანგეთის ბურჟუაზია. ინგლისის კაპიტალისტებმა ხელი მოითბეს რურში დანთებულ ცეცხლით.

გერმანის სახალხო მეურნეობა, მძიმე ინდუსტრია დიდძალ „შავ ოქროს“ საჭიროებს. მის გარეშე შეუძლებელია გერმანიის წარმოება-მრეწველობის ნორმალი განვითარება. საფრანგეთს მიზანი იყო არა მარტო ოკუპაციით გერმანიის მიერ სარეპარაციო პირობების ასრულება, არამედ გერმანიის ეკონომიური ძლიერების შესუსტება ნახშირის მაღაროების ხელში ჩაგდებით. პუანკარეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული გერმანეთის საშიშროების ფაქტი. ამიტომაც მიმართა მან იმპერიალისტური ღონისძიებას.

გერმანიამ გამოსავალი გამონახა. იგი ეკონომიურად ინგლისს დაუკავშირდა. ინგლისი აწვდის გერმანიის მრეწველობას ქვა-ნახშირის კოლოსალ რაოდენობას. ამ გარემოებამ ახალი ხლართები წარმოშვა ანტანტის პოლიტიკურ ვითარებაში: გაღრმავდა ინგლისს-საფრანგეთს შუა წინააღმდეგობა. გერმანიის ნახშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილება გააძლიერებს ეკონომიურად „დამარცხებულ“ ქვეყანას. პოლიტიკურად დაბეჩავებული გერმანეთის სახელმწიფო ეკონომიური ძლიერების ფარხმალით დაუპირისპირდება საფრანგეთს. ეკონომიური ხასიათის დაპირისპირება კი გარდამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა თანამედროვე მდგომარეობაში, როდესაც ევროპა ადგას სამეურნეო ცხოვრებაში აღმშენებლობითი პოლიტიკის წარმოების გზას. ინგლისი ხელს უწყობს გერმანეთს. რა თქმა უნდა, მას ეს მოსდის ძალაუნებურად, იძულებით. ბრიტანეთის ეკონომიური ინტერესები მოითხოვს გერმანიასთან საერთო ხაზის გამონახვას ეკონომიურ საკითხებში. საფრანგეთს კი ხელში რჩება გერმანიის გაძლიერება და „მოკავშირის“ „თავხედობა“.

ამრიგად, კაპიტალისტურ ქვეყნებში მდგომარეობის სურათი მეტად დამაფიქრებელია და საზარელი „ძველი ქვეყნის“ მესვეურებისათვის. უეჭველია, მომავალი სრულ განადგურებას უქადის დახავსებულ ცხოვრებას, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ციველიზაციას- კულტურას.

საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა დღითი დღე მტკიცდება და სდგება გარკვეულ კალაპოტში. ინგლისის 35 ათასი პრეტენზიას არ შეუტანია საგულისხმო დისონანსი რევოლიუციონურ რესპუბლიკების საშინაო და საგარეო ცხოვრებაში. მუშური ქვეყნები მტკიცედ ადგას მონიშნულ გზას, ატარებს გარკვეულ და მიზანშეწონილ პოლიტიკას საერთაშორისო კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ.

დედა-მიწის ზურგზე საკმაო სიცხადითაა მოცემული ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო სურათი. ერთის მხრით—ბურჟუაზიული მსოფლიო, მასში გაბატონებულია ქაოსი, შუღლი, მტრობა, ეგოიზმი, უმაღლეს წერტილამდე განვითარებული უტილიტარიზმი. აქ ძალი პატრონს ვერა სცნობს. არ უწყის მარჯვენამ, რასაც აკეთებს მარცხენა. მეორე მხრით—მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილი—საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, ეკონომიურად მოღონიერებული, სამხედრო ძალებით გაძლიერებული და საერთო ინტერესებით, საერთო გეგმით აღჭურვილი.

ამ ორ ქვეყნის შუა არსებული ძალთა ჰიდიალი პროცესშია და მომავალი მისცემს მას და სასრულს.

დასკვნა: მსოფლიო ბურჟუაზია ვულკანზეა დამდგარი. გართულებულია მისი პოლიტიკური ცხოვრების პირობები. ბურჟუაზიული რექცია, რომელიც ფარფაშობს ამჟამად ევროპის კონტინენტზე, არ არის მომავლის მქონე. ეკონომიურ-პოლიტიკურ კრიზისმა, შინაგან ძალების საწინააღმდეგო პოლიუსებზე დაყენებამ კაპიტალისტური ქვეყნები დააყენა საბედისწერო ყურესთან. მდგომარეობის მოხაზულება უკარნახებს კაპიტალის მესვეურებს საბოლოო დამარცხებას.

რაღიო-დეპეშები

გადატრიალება ბულგარეთში

რომი. 20 ივნისი, სოფიიდან ვენაში მიღებულ ცნობების თანახმად, ევროპის რამდენიმე სახელმწიფომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ცინკოვს.

ბერლინი. 20 ივნისი, 600-მდე ეგრედ წოდებული „ყვითელი გვარდიელები“ წინააღმდეგობას უწევენ კიდევ მთავრობას. ბულგარეთის დანარჩენ ნაწილში წესრიგი აღდგენილია. უწესოების დროს მოკლულთა რიცხვი განისაზღვრება 500-დან 600 კაცამდე.

ლონდონი. 19 ივნისი, ბულგარეთის ცანკოვის მთავრობა ოფიციალურად იცნო რუმინეთმა. სოფიის უნივერსიტეტის თითქმის ყველა პროფესორები მოწვეულები არიან მინისტრების თანამდებობაზე და უცხოეთის დიპლომატიურ უწყებებში.

ლონდონი. 19 ივნისი, ცანკოვმა, 5 ბურჟუაზიული პარტიის ლიდერების მიღების დროს, განაცხადა, რომ ეხლანდელი კაბინეტი შედგენილია მხოლოდ დროებით. კაბინეტი საბოლოდ შედგება 2 თვის განმავლობაში. ლიდერებმა აღუთქვეს ცანკოვს ლოიალური თანამშრომლობა.

პარიზი. 19 ივნ. ათინის მთავრობამ დაავალა თავის წარმომადგენელს, შევიდეს კონდაქტში ცანკოვის კაბინეტთან.

რომი. 20 ივნ. სტამბულინსკის დატუსაღებისა და აგრედვე მის მოკვლის ცნობის მიღების შემდეგ, სოფიაში შესდგა მთავრობისათვის თანაგრძნობის გამოცხადების მანიფესტაცია.

ბრბომ თვითგასამართლება მოახდინა პოლიციის ყოფილ უფროსზე სტოიანოვზე.

რურის ოლქის ოკუპაცია

ბერლინი. 19 ივნ. ფრანგებმა მიიღეს მთელი რიგი ზომები, რომლებიც აბრკოლებენ რურის ოლქისათვის რძის მიწოდების საქმეს. ფრანგები ახდენენ აგრედვე სურ.-სანოვ. რეკვიზიციას.

ფრანგების მიერ რურის ოლქის სომშილის ბლოკადის რკალში მოქცევის გამო, პარიზის გაზეთი „პროგრეს ცივიკ“ სწერს: „ჩვენ ეხლა ხელი მოვკიდეთ მეოთხე გეგმას, იმის შემდეგ რაც ოთხი დამარცხდა. მაგრამ მეხუთესაც ასეთივე ბედი მოელის.

„ერ ნუველ“ სწერს: „ოკუპაცია გაუმართლებელია, მხოლოდ პოლიტიკური ღონისძიებებით შეიძლება საფრანგეთის გამოყვანა იმ საშინელ მდგომარეობიდან, რომელშიც ის ახლა იმყოფება“.

ლონდონი. 20 ივნისი, „დეილი მეილის“ დიუსსელდორფის კორესპონდენტი იტყობინება, რომ რურის ჩამოშორება დანარჩენ გერმანიიდან დამთავრებულია. პრუსიის ადმინისტრაცია ვესტფალის მატარებლებს ახალი საბოლოო პუნქტზე იღებს, რომელიც 5—7 მილით არის დაშორებული სამხედრო კორდონზე.

ბერლინი. 20 ივნისი, ვესტფალის სოც.-დემოკრატიულ პარტიის დელეგატების კრებამ დაადგინა, მიუხედავად შიმშილის ბლოკადისა, არ შეწყვიტოს წინააღმდეგობა იმ დრომდე, სანამ საფრანგეთ—ბელგიის ჯარების ევაკუაცია არ მოხდება.

პოლონეთი

პარიზი. 19 ივნ. პოლონეთიდან მიღებული ცნობებით, იქ მოჰკლეს თეთრგვარდიელების გენ. ბალახოვიჩი, მკვლელი მიიმალა.

ამერიკა

ლონდონი. 18 ივნ. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იუზმა ინგლისის, საგრანგეთის იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლებს გადასცა ხელშეკრულების პროექტი, რომლის ძალითაც ამერიკის მთავრობას უფლება ეძლევა ამერიკის ზღვის სანაპირო საზღვრების 12 მილიან ზონაში გასინჯოს და კონფისკაცია უყოს იმ გემებს, რომელნიც მაგარი სასმელების კონდრაბანდით გაზიდვაში იქნებიან შენიშნული.

ბელგია

ბერლინი. 19 ივნისი, ბელგიის სოციალისტური პარტიის საგანგებო კრებაზე პროფკავშირების წარმომადგენელმა მერტენსმა სასტიკად გააკრიტიკა მეფის პოლიტიკა, რომელიც არის ფინანსისტების ხელში და მხარს უჭერს რეაქციას. კრებამ გამოიტანა დადგენილება, რათა მხარი დაუჭიროს შეურიგებელ ბრძოლას ყველა მთავრობასთან, რომელიც აირჩევს ტენისის საგარეო პოლიტიკის გზას.

ლონდონი. 20 ივნ. გადმოგვცემენ, რომ ტენისი ვერ შესძლებს კაბინეტის შედგენას. რამოდენიმე დღის გასვლამდე. საერთო აზრი ასეთია, რომ ის იძულებული იქნება თვითონვე განიხილოს საფრანგეთთან ერთად—პასუხი ინგლისის ანკეტაზე.

ლონდონი. 20 ივნისი. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში არ იზიარებენ გაზეთების პესიმისტურ შეხედულებას შექმნილ მდგომარეობაზე. კერძოთ სასურველ ნიშნათ მიაჩნიათ საფრანგეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის შემჩნეულ ლტოლვას ერთხელ და სამუდამოთ მიღწეულ იქნას შეთანხმება მოკავშირეთა შორის საკონტრიბუციო საკითხში.

ბელგია. 20 ივნისი. ლონდონში მყოფ საფრანგეთის და ბელგიის ელჩებმა მიიღეს ინსტრუქცია გადასცენ ბრიტანეთის მთავრობას სიტყვიერი პასუხი მის ანკეტაზე, რადგან ბრიტანეთის კაბინეტს განზრახული აქვს განიხილოს რურის საკითხი ოთხშაბათს. საფრანგეთ-ბელგიის ოფიციალური პასუხი გადაეცემა ბრიტანეთის მთავრობას, როგორც კი დამთავრდება ბელგიის გაბინეტის კრიზისი. პარიზის პრესას გაუმჯობესებულად მიაჩნია ინგლისს-საფრანგეთის ურთიერთობა. გაზ. „ჟურნე ინდუსტრიელი“ ითვალისწინებს ბრიტანეთის და საფრანგეთის შეთანხმებას რურის საკითხში.

პოლონეთის ამბები.

ვარშავა. 17 ივნისი. კომუნისტურ ფრაქციის მიერ სეიმში შეტანილი კანონპროექტი აგრარული რეფორმის შესახებ გულისხმობს მიწების უფასოდ ჩამორთმევას 60 გექტარზე ზევით და მათი უმიწაწყლო და მცირე მიწების მქონე გლეხებისათვის გადაცემას ულარიბეს გლეხების მიერ არჩეულ საადგილ-მამულო კომისიების საშუალებით.

სეიმის თავმჯდომარემ უარი განაცხადა კანონპროექტისათვის მსვლელობის მიცემაზე და აღნიშნა, რომ ის ეწინააღმდეგება პოლონეთის კონსტიტუციას, რომელიც „სამართლიან ანაზღაურებას“ მოითხოვს.

ვარშავა. 17 ივნისი. პოლონეთის სეიმში პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფინანსთა მინისტრი გრაბსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ პოლონეთის მარკის ჩქარი დაცემა დამოკიდებულია გერმანიის მარკის დაცემისაგან, რადგან პოლონეთის გატანილ საქონლის 60 პროც. მიდის გერმანიაში. გრაბსკის სიტყვით პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება გატანილ საქონლის რაოდენობის გადიდებისა და პოლონეთისათვის გასაღების მუდმივ ბეზრებით უზრუნველყოფის შემდეგ.

სეიმისა და სენატის თავმჯდომარეებმა საიდუმლო თათბირი მოიწვიეს მძიმე ფინანსიური მდგომარეობის საკითხის გამოსარკვევად.

ლოზანას კონფერენცია.

ბერლინი. 10 ივნისი. ვენიზელოსი, ცხადია ინგლისის დახმარებით, გამოვიდა ლოზანაში მოთხოვნილებით, რათა კონფერენციამ გადასჭრას ეხლავე უველა სადავო საკითხები ოსმალეთთან, რასაც ეწინააღმდეგება საფრანგეთი.

მილანი. 19 ივნისი. „კორიერე დელა სერა“-ს ცნობით, ლოზანას კონფერენციის წრეებში გაცხოველებული მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ შეთანხმებამ, რომელიც მოხდა ერთის მხრივ ლონდონის შრედერის ბანკის და მეორეს მხრივ გერმანიის და აღმოსავლეთის რკინის გზების ციურიხის ბანკების წარმომადგენლებს შორის. შეთანხმება ეხება ანატოლიის და ბაღდადის რკინის გზებს და მონაწილეობის უფლებას აძლევს გერმანელებს მათ მიერ დაარსებულ წარმოებაში. ამავე დროს ამ შეთანხმების ძალით ინგლისელებს კონტროლის უფლება აქვთ თითქმის უველა რკინის გზებზე, რაც საშვალებას მისცემს მას ინგლისს საჭიროების დროს გავლენა მოახდინოს ოსმალეთის მთავრობაზე.

გაზეთ „დემოკრატ“-ის ცნობების მიხედვით, იყო ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის კაპიტალისტების კონსორტიუმის შექმნის პროექტი ბაღდადის რკინის გზის ექსპლოატაციისთვის. ინგლისა და გერმანიას შორის დადებულმა შეთანხმებამ ჯვარი დაუსვა ამ პროექტს.

ლონდონი 18 ივნისი. ინგლისური გაზეთები მეტათ უკმაყოფილონი არიან ლოზანას მოლაპარაკებით და მთელს პასუხისმგებლობას ოსმალეთის დელეგაციას ახვევენ.

„დეილი ტელეგრაფი“ სწერს: თუ მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაბარა, მაშინ კონსტანტინოპოლის ოკუპაციის პასუხისმგებლობა ოსმალეთს დააწვება, რადგანაც სტამბოლის ევაკუაცია დამოკიდებულია ოსმალეთის დათმობაზე.

ეტნას ამოხეთქა.

რომი. 19 ივნისი. ამ ბოლო დროს ვულკან ეტნას (სიცილიაშია) ამოქმედება დაეტყო და საშინელის სიძლიერით ამოხეთქა. ამოხეთქას წინ უძღოდა მთელი წყება გამყრუებელი გრგვინვისა, რომელსაც თან სდევდა ქვესკნელის გუგუნი, ამავე დროს ქვესკნელის ძლიერი ხეთქება არყევდა დედამიწას. ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი თავზარდაცემული გარბოდნენ. ვულკანის მწვერვალი კორიანტელმა დაჰფარა და ხშირად ამოვარდებოდა ხოლმე გავარვარებულ ნაცარტუტის შადრევანი. მდუღარე ნივთიერების მდინარე ნელ-ნელა წამოიგრაგნა მთის ფერდობისკენ. უზარმაზარი ცეცხლის თქეში სიგანით 1 მილი და სისქით 30 ფუტი ანადგურებდა უველაფერს, რაც კი წინ ხვდებოდა და თანდათან სწრაფად მოექანებოდა. გაავარვარებული თქეშას სისწრაფემ საათში ორი კილომეტრს მიაღწია ეტნას მთაზე ამართული ფიჭვის ტყე. ლინგუალოსის თავზე, ძირიან ფესვიანად მოსწვა. სულ ხუთ ნაკადათ ამოჰხეთქა ცეცხლის თქეშმა ზოგი ძველი კრატერებიდან და ზოგიც ახალი. უველაზე დიდი თქეში მოიმართება ქ. ლინგუალოსის გეზით. ამ ქალაქში 150,000 მცხოვრებია. მთელი ქალაქის მოსახლეობამ მიატოვა საცხოვრებელი ბინები და გარბის კატანისაკენ. ადამიანის მსხვერპლი ცოტაა, რადგანაც ქვესკნეთის გუგუნმა წინდაწინვე აგრძნობინა მცხოვრებთ უბედურების მოხლოვება. საშიშ ადგილებიდან მოასწრეს მოსახლეობის გახიზვნა. ძვირფასი რამ მოძრავი ქონება გადაარჩინეს. კატანიის მცხოვრები ყოველნაირად ეხმარებიან შემოხიზნულებს, რომლებიც შიშის ზარისაგან გაოგნებულნი არიან. კატანია ეტნას არემარეში უველაზე დიდი ქალაქია. თუმცა ცეცხლის თქეში ჯერ არ ემუქრება, მაგრამ მცხოვრებლები, ვისაც კი შეუძლიან, იხიზნებიან ქალაქიდან და თან მიაქვთ განძეული და ქონება.

უფრო ძლიერი ამოხეთქვა მოხდა კვირა დილით. ეტნა რამდენიმე იდგილას დასკდა და ამ ნაპრალებში პირი დაადირინა ცეცხლის მფრქვეველმა კრატერებმა. ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი უმწეოთ უმზერდნენ, თუ თქეშით როგორ ნადგურდებოდა მათი მრავალი წლის ნაამაგარი ხასხასა ვენახები. სახლები ისე ინგრეოდა, როგორც კარდონის ხუხულები. იმ სოფლების ქუჩებში, სადაც ჯერ არ მიეღწია თქეშს, მცხოვრებნი ჰმართავდნენ ცრუმორწმუნე ლიტანიებს, ზოგი სოფლის მცხოვრებნი ეკლესიებში შეიხიზნენ.

მუსოლინს განზრახვა აქვს შეაჩეროს თავისი მოგზაურობა ჩრდილო იტალიაში და სიცილიაში გაეშუროს.

რომი. 20 ივნისი. კატინიაში 30,000-დე ლტოლვილი შეგროვდა ეტნას ამოხეთქის დროს დაშავებულ ადგილებიდან. ნეაპოლიდან იტყობინებიან ვეზუვის მოქმედების გაძლიერების შესახებ.

რომი. 20 ივნისი. კატენიიდან იტყობინებიან რომ ეტნის განსაკუთრებული ძალით ამოხეთქა გრძელდება იმავე ინტენსივობით.

სითხის მთავარმა დენამ, რომელმაც დაანგრია კასტილიონის რკინის გზის სადგური, იცვალა მიმართულება. მას გზაში შეხვდება ორი გორაკი, რასაც შეუძლია მისი მიმართულების შეცვლა. ამაზე არის ეხლა დამოკიდებული ქალაქ ლინგუალოსის ბედი.

ახალი ამბები

— **კონტრაბანდის აღმოჩენა**. აჭარაში სოფ. ქაპანდიბში კვლავ აღმოაჩინეს გამზადებული საზღვარ გარედ გასატანად ნავში ჩაწყობილი დიღძალი კონტრაბანდა.

— **რევიზია**. ქ. ბათომის აილიციის რევიზიის შემდეგ დააპატიმრეს საქმის მწარმოებელი დუდუჩავა, რომელსაც მრავალი ბოროტ-მოქმედება ბრალდება.

— **საბჭოების ყრილობა**. აჭარაში დამთავრდა ქობულეთის, ჭედის და სხვა რაიონების საბჭოების ყრილობა.

— **ბათომის ბირჟა**. ბათომის სავალიუტო ბირჟის კურსი თითქმის უთანასწორდება ტფილისისას.

— **ბათომი და ტფილისი**. ბოლო ხანს ბათომში ვაჭრობა მიწყდა. ხალხი მეტწილად ტფილისისაკენ მიეშურება.

— **შტატის შემცირება**. ამიერ-კავკასიის სასურსათო კომისარიატის შტატი შეამცირეს 40 კაცამდე.

— **ხორცის წარმოება**. სასურსათო კომისარიატის კოლეგიამ სცნო საჭიროდ ხორცის საწარმოო ორგანიზაციის არსებობა დაადგინა შეამუშავებინოს სააქციონერო საზოგადოების პროექტი, რომლის ძალით მოწვეულ იქნებიან კერძო კაპიტალისტები და სამეურნეო ორგანიზაციები.

— **სასურსათო ფონდი**. სასურსათო ფონდიდან აღარ მიეცემათ სურსათ სანოვაგე არავისთვის, გარდა ამიერ-კავკასიის სასურსათო კომისარიატების განკარგულების გარეშე.

— **არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლი**. არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ასაგებად დღემდე შემოვიდა შემოწირულება 500 მილიონი მანეთი.

— **მათხოვრები**. ტფილისში ბოლო ხანს გახშირდნენ მათხოვრები. აღძრულია საკითხი ღამის გასათევებელ სახლის მოსაწყობათ.

აგრეთვე დაიხარჯა ბავშვებზე მრავალი კონსერვები რძისა და ხორცისა, რომელიც შემოსწირა შიმშილობასთან მებრძოლ კომიტეტმა.

— **სავალიუტო ბირჟა**. 21 ივნისის ოფიციალური კურსი: ჩერვონეცი—13750 ათ., გირვანქა სტერლინგი—15 მილიონი, დოლარი—3,550 ათ., ოსმალური ქაღალდის ლირა—2350 ათასი მანეთი, ფრანკი 175 ათასი და სხ.

— **ახალი ნიხრი აბანოებზე**. აბანოებზე დაწესდა შემდეგი ახალი ნიხრი: № 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 და 10 საათში ლირს 700—600—500 ათასი მანეთი. ხოლო ორთქლის აბანოს ნომერი საათში 650 ათასი, საერთო 200 ათასი.

— **საქონლის ბირჟა**. 21 ივნისს დაეტყო გამოცოცხლება.

— **რეზინი**. რეზინი ბირჟაზე 21 ივნისს გაიყიდა 5,894,835,000 მან. და დიდი პარტია შაბიამანი 13 მილ. ფუთი.

— **მოთხოვნილება**. ასფალტის, პუხის, სპირტის. ნაძლეულობის, ტყავის, ლურსმების, შუშის, ქვის მარილის, თამბაქოსი, ქართული მატყლის და სხვ.

— **ტრამვაის ვაგონები**. აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ წინადადება მისცა ტრამვაის დირექციას შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა ტრამვაის ახალი ვაგონების გასაკეთებლათ, რომლითაც გადმოიზიდება ხორცეულობა ქალ. სასაკლაოდან.

— **ქუჩების გაწმენდა**. წინადადება მიეცა სააღმშენებლო ტეხნიკურ განყოფილებას მიიღოს სასწრაფო ზომები ქუჩების და მოედნების უსუფთაობისაგან გასაწმენდათ, სახლის პატრონებს ევალებათ დაიცვან სისუფთავე თავიანთ ეზოებში, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი იქნებიან პასუხის გებაში მიცემულნი.

— **ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგური**. აღმასკომის პლენუმმა დაადგინა ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურისათვის საჭირო მანქანები შეიძინოს საბჭოთა რუსეთში.

— **გადასახადი წყალზე**. პირველ ივნისიდან გადიდებულ იქმნა წყალზე გადასახადი 1.600.000 მანეთამდე.

— **საბავშო დაწესებულებანი**. ორი თვის განმავლობაში საბავშო დაწესებულებებზე დაიხარჯა 27 ფუთი საპონი, 160 ფუთი შაქარი, 160 ფუთი ბრინჯი, 2000 ფუთი პური 500 ფუთი კარტოფილი.

პარიზიაში

პარასკევს, 22-ს ივნისს, პარტიის მთავარ ბიუროში, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია პირველი კრების გაგრძელება ტფილისის კომიტეტის და რაიკომების წარმომადგენლების საქალაქო კონფერენციის მოწვევის საკითხების საბოლოოთ გამორკვევისათვის.

ტფილისის კომიტეტი.

გაუგებრობაა თუ შეუგნებლობა?

ორი პატარა გოგონა პირნათლად გამოვიდნენ თავის დედმამასთან, გადავიდნენ—უფროსი—მეორეში, მომდევნო პირველში. მამა პატარა მოხელეა, მსახურობს რკინის გზაზედ. დადგა სიცხეები, ყველა სოფლისკენ ეშურება, დედმამასაც უნდა სადმე გაგზავნოს შვილები, მაგრამ სოფლადაც ისე არა მოეპოებათ რა (სახლკარი), როგოროც ქალაქში. არის გამოსავალი,—ბავშვები წავიდნენ დიდედასთან. მამა გოგონეებისა მიმართავს სადაც ჯერ არს და სთხოვს რკინის გზის ბილეთს; გზის მმართველობა უპასუხებს: დაგვისახელე სტანცია და მოგვიტანე იმ სოფლის მოხელეებისაგან ქაღალდი, სადაც თქვენი შვილები იქნებიან, რომ ამ ზაფხულს იქ გაატარებენ თქვენი შვილებიო. მამა მისწერს სოფლის მოხელეს, აუხსნის საქმის გარემოებასა და სთხოვს დაუდასტუროს მოწმობით, რომ ზაფხულს მისი გოგონეები იქ გაატარებენ.

როგორა გგონიათ, მისცეს რკინის გზის მოხელეს ამისთანა ქაღალდი? არა! როგორც სოფლის კომისარმა, აგრეთვე რაიონის კომისარმა ამისთანა ქაღალდზედ უარი უთხრეს და განუმარტეს: „დაჩაზედ“ მოსვლა არ შეიძლებაო.

ამნაირათ ეს პატარა გოგონები ჩარჩნენ ქალაქში და ამ საშინელ სიცხეებს უნდა გაუმკლავდნენ თავიანთი სუსტი ჯანით.

შესაძლებელია რკინის გზის მმართველობის მოთხოვნა კანონიერი იყოს, ხოლო ეს მინდა ვიცოდე და გკვიგო: არის იმისთანა კანონი ამ ახალი წესწყობილებისა, რომელიც უკრძალავდეს მოქალაქეს სტუმრათ წასვლასა და მასპინძელს კიდევ სტუმრის მიღებასა? თუ დიდი-დედას არა აქვს უფლება თავისი შვილის-შვილები მიიღოს თავის ჭიხში, სწორეთ გითხრათ, დაუჯერებელია.

როგორ? შენს პურზედ არ ვიყო, შენს წყალს არა ვსვამდე არ გაწუხებდე, არ გაოხრებდე და ნუ თუ ნება არა მაქვს მივიდე ჩემს ნათესავთან სტუმრათა?

მაგრამ არა, ჩვენც კარგათ გვეყურება ახალი წყობილების ვითარებაც, კომუნიზმის შინაარსიც და ამნაირი ზედმეტი ბიუროკრატიული ფორმალობაც.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების მესამე ყრილობა

ივნისის 16-ს, მუშათა სასახლის წითელ დარბაზში, საღამოს 6 საათზე გაიხსნა სრულიად საქ. პროფკავშირთა მესამე ყრილობა ამხ. ყურულაშვილის მოკლე სიტყვით. ამხ. მომხსენებელმა სქემატიურად გაარკვია ის მუშაობა, რომელიც იქმნა წარმოებული მეორე ყრილობიდან მესამე ყრილობამდე, 1 წლისა და 4 თვის განმავლობაში.

არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი კომფრაქციის მიერ წამოყენებულ სიის მიხედვით. პრეზიდიუმში შედიან. ამხ. კახიანი, ჯუღელი ყურულაშვილი, პიასეცკი, ჭიჭინაძე, ბახუტოვი, დუმბაძე, ვაშაკიძე, ატოევი და რუსეთის პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს ა. კ. ბიუროს თავმჯდომარე ამხ. გინზბურგი. პრეზიდიუმის საპატიო წევრებად არჩეულ იქმნენ: ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, სტალინი, მახარაძე, ცხაკაია, ორახელაშვილი და სხ. დამტკიცებულ იქმნა სამანდატო კომისიის სია. კომისიაში შედიან: ამხ. ცომაია, სერგეევი და მარქაროვი. დამტკიცებულ იქმნა ყრილობის დღის წესრიგი.

ყრილობამ მიიღო მისასალმებელი დეპეშები მეზობელ რესპუბლიკების პროფკავშირების საბჭოებისაგან. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: სრ. რუსეთის პროფკავშირების სახელით ამხ. გინზბურგი, ჩვენი პარტიის სახელით ამხ. თურქია.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მ. ორახელაშვილი. მომხსენებელმა საკმაოდ დასრულებული სურათი მოხაზა საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრების ვითარების. ვერსალის ხელშეკრულებით ბურჟუაზიამ ვერ შესძლო ევროპიული ომის წყალობით დანგრეული ქვეყანის. ბურჟუაზიამ ვერ მიაღწია პოლიტიკურ მშვიდობიანობის დაცვა, რაც საჭიროა ეკონომიური აღორძინების პირობების შესაქმნელად. ამ ჟამად კაპიტალისტურ ევროპას ერთ ნახევარჯერ მეტი ჯარი ყავს, ვინემ მას ყავდა ევროპიულ ომის დაწყების დროს. საბჭოთა რუსეთმა კი ჯარის საერთო რაოდენობა 600,000 კაცამდე შეამცირა.

ევროპა მიილტვის ომისაკენ, რუსეთი—მშვიდობიანობისაკენ.

ბურჟუაზია სცდილობს დანაკლისის პროლეტარულ მასების ხარჯზე ანაზღაურებას. ამ მხრით განსაკურებით მძიმე მდგომარეობაშია გერმანიის მშრომელი ხალხი. წინეთ გერმანიის პროლეტარიატი მაღლა იდგა სხვა ქვეყნების პროლეტარიატზე. ახლა კი ჩვენს წინაშე საწინააღმდეგო სურათია გადაშლილი. გერმანიის მუშათა კლასზე უკეთესი პირობები რუსეთის და საქართველოს პროლეტარიატს გააჩნია. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ გერმანიის ფულის კურსი ამ ჟამად დიდად დაცემულია.

ევროპიულ ომმა მუშათა მასსები რევოლიუციონურ ფრონტზე გამოიწვია. ომის შედეგები აუტანელი შეიქნა ევროპის პროლეტარიატისათვის. მზადდებოდა საერთაშორისო რევოლიუციის პირობები. მაგრამ მეორე ინტერნაციონალი ჩაერია მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობაშიდა ითამაშა მასში ხელის შემშლელი როლი. მუშათა მთლიანი რიგების დაშლა-შესუსტებამ საშუალება მისცა კაპიტალს იერიშების წარმოებისა მუშათა კლასის წინააღმდეგ.

1920 წ. დაიწყო კაპიტალის შემოტევა. იგი გამოიხატა ჯერ 8 ს. სამუშაო დღესთან ბრძოლაში, შემდეგ—ხელფასის შემცირებაში. ბურჟუაზიული სახელმწიფოები ნედლ მასალას ამზადებინებდნენ გერმანიას, როგორც ქვეყანას მდაბალი ვალიუტით და შრომის მცირე ხელფასით. დამზადებული ფაბრიკატები გააქვთ საერთაშორისო ბაზარზე. შედეგად ის სდევს ასეთ პოლიტიკას, რომ მცირდება ხელფასი და ხდება ფაბრიკა-ქარხნების მასსიური დახურვა.

თუ რუსეთისა და გერმანიის მუშის მდგომარეობას შევადარებთ ერთმანეთს, დავინახავთ, რომ გერმანიის მუშა გაცილებით უარეს მდგომარეობაშია, ვინემ საბჭოთა რუსეთის. გერმანიის ფაბრკომები მოითხოვს ომამდე არსებულ ხელფასის 50 პროც. მიღებას. ჩვენში კი დაჭირავებული მშრომელი ღებულობს 60 პროც.

განვითარდა უმუშევრობა თითქმის ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. გამძვინვარდა აგრედვე ბურჟუაზიული რეაქცია, რომლის გამომხატველია ფაშიზმი. შემდეგ მოხსენებელი შეეხო რუსეთ-ინგლისის ურთიერთობას და გააცნო ყრილობას ის შავი ზრახვები, რომლითაც მოქმედობენ კერზონი და მისი თანამოძმეები.

რაც შეეხება საერთაშორისო პროფმოძრაობას, ამ მოძრაობაში არ სჩანს მთლიანობა. გაერთიანებული მოძრაობის გამომხატველია ორი საერთაშორისო ორგანიზაცია: ამსტერდამის ინტერნაციონალი და წითელი პროფინტერნი. პირველი სთვლის 15 მილ. მუშას, მეორე—12-ს.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას.

მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ყრილობაზე.

თამარ მეფის მეხოტბენი

(გაგრძელება)

კომკი. ხ. 520: „სულსა ვყიდდი გულისათვინ, კომკი ამად გამებაზრა... ვნახე ძოლსა მარგალიტი გარე ტურფა მოებაზრა“ აქ, ერთი მკვლევარის აზრით, თურმე კომკი არის „მოებაზრა“ იგივე სპ. კომკ „მაღალი ციხე“, იგივე ხოლო „მაზრა სპ. მარზ ზღუდე, ან (სომხ. მაზრა)—მწყემსებისთვის დროებითი თავშესაფარი, უბრალო კარავი. მწყემსების დასადგომი სამწყესურში“.

ხსენებულ ხანაში არც კომკი კომკია, მერე ისიც სპარსული კომკ, და არც სომხური „მწყემსების დასადგომი სამწყესურში“. ესეთი რამეები აქ მოყრილია მხოლოდ შოთას ნათქვამის გაუგებრობით.

ფარსადანმა და მის დედოფალმა ტარიელი მიიწვიეს სათათბიროდ იმის შესახებ, ვის მიათხოვონ თავიანთი ქალი. წინათვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ბედი ნასტანის, რომლისთვის ზედ—სიძედ უნდა მოეწვიათ ხვარაზმ-შას შვილი. ტარიელმა რომ გაიგონა, ელდა ეცა, მაგრამ ვეღარაფერი თქვა. გადასწყდა მოწვევა. ნესტანმა გაიგო თუ არა, იწვია ტარიელი, გაუწყრა და მრისხანედ დაემუქრა ფიცის გატეხისათვის. ტარიელმა თავის მართლება დაიწყო, იფიცა მუსაფზე, რომ მას მისთვის არ ულალატნია, აუწერა, როგორ იყო საქმე, როგორ ალარ შეიძლებოდა მეფე-დედოფლის წინააღმდეგობა, როგორ საჭირო შეიქმნა სხვა ღონისძიების გამოძებნა, როგორ ჩავარდა მრავალ საგონებელში, როგორ გამოენასკვა გულს მხეცებრ მინდორს გაჰრა (თავის განწირვა), ოღონ მიჯნური არავის დაუთმოს, თუ მიჯნურმა თვითონ თავის ნებით არ წაგვარა მას თავი თვისი (519), სულსა ვყიდიო (ვიმეტებდიო) გულისათვის (=საყვარელ მიჯნურისთვის), კომკი (თავი) ამად გამებაზრაო (გასაყიდად სავაჭრელად გამიხდაო).

მოახსენა-რა ეს განრისხებულ ქალს (ნ.—დარეჯანს), იგი მოლობა; და ენახეო, განაგრძობს ტარიელი, „ძოწსა (ქალის მიწის-ფერ ლოყებს) მარგალიტი (ცრემლები) გარე ტურფად მოებაზრა“ (წამოესხა, გამოეყარა). ქალი დარწმუნდა, რომ ხვარაზმ-შას მოწვევაში ტარიელს ბრალი არ ედო, უთხრა მას ბოდიშის მოხდასავით: „ეგე საქმე მემცა ბრალად რად მიაზრა!“

როგორც ვხედავთ, აქ არც სპარსული კომკია და არც სპარსული მარზ და მით უმეტეს არც სომხური „მწყემსების დასადგომი სამწყესურში“!

სარათანი. ხ. 1204: „მზისაგან შეჯდომა სარათანისა“

(ხურხებში: საროს ტანისა).

გვაქვს ქართული მონუსკრიტი, გადაწერილი 1210 წელს (№ 65). მასშია სრული სწავლა ზოდიაქონების შესახებ. მაისის ზოდიაქონად კირჩხიბად დასახელებულია მისი არაბული იგივეობაც, სარატან. სწერია: „კირჩხიბი, რომელ არს არაბულად სარატან“. აი ეს სარატანი შოთას უხმარია სარათანად.

ზოგი მკვლევარი, დაასახელებს-რა რამდენიმე სარათანისთანა არაბისმს ანუ სპარსიზმს, აუწყებს საზოგადოებას, შოთას ეცოდინებოდა ეს ენებიო! მაგრამ ასეთი დასკვნა ჩვენ ნაადრევი და უსაფუძვლო გვგონია. ამგვარ არაბისმ-სპარსიზმს შოთა შეიძენდა არა თუ № 65-ისებრ ხელნაწერებით, არამედ თვით ქართულ ენიდამაც, რომელსაც, როგორც ახიაში მცხოვრებ ერის ენას, შეუძლებელი იყო უხსოვარ დროითგანვე არ შეეძინა მრავალი აზიური ცნება.

ამგვარ კითხვების გადასაჭრელად ერთად ერთ სწორე საზომად ჩვენ მიგვაჩნია ჩვენი თვალსაზრისი, რომელიც გამოვთქვით ჩვენ წერილში 1901 წელს (სბორნიკ მატეიალოვ, 29—43) და იგივე გავიმეორეთ ქართულად 1909 წელს („ქართ. მწერლობა“ გვ. 129).

ჩვენ ვწერდით:

„ძველი დროითგანვე კავკასიის ერებს, მეტადრე ქართველებსა და სომხებს, კულტურული და პოლიტიკური განწყობილება გვქონია ასურელი ბაბილონელებთან, მიდიელ-სპარსელებთან, არაბიელ-თურანელებთან. ყველა ეს ხალხნი ცხოვრობდნენ „აზიურ“ წესზე, თუმცა ხშირად ერთმანეთსაც ემტერებოდნენ ხოლმე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველი კულტურული შემატება-შეძენილობა სწრაფად გადადიოდა ერთი ხალხის სამშობლოდან მეორისაში და ახალს სამშობლოში კიდით-კიდემდე ეფინებოდა, ინერგებოდა. უმეტესი ნაწილი სახალხო რწმენისა, იგავ-არაკ-თქმულებათა, წესი მიწის შეწყალებისა, მეურნეობისა, მიწის მუშავებისა, მიწის მუშავებელი იარაღები, წესი სახელმწიფო გამგეობისა და სხ. და სხ. ყველა ამ ხალხებში შესამჩნევად მსგავსი იყო. იგინი ყველანი თავის ცხოვრების ძველს დროს თაყვანს სცემდნენ ცეცხლს, მზეს, ციურ მნათობებს გმირი რუსტემი ისევე საყვარელი იყო სპარსთათვის, ვით იგივე გმირი, მაგრამ როსტომი შეიქმნა სახალხო გმირად საქართველოში“.

ჩვენი ასეთი თვალსაზრისი დღესაც არ შეცვლილა. აი ორიოდე მაგალითი იმისა, რომ არაბ-სპარსთა კულტურის შეძენილობა უმალვე შემოდიოდა საქართველოში.

ა. „**ქილილა და დამანა**“-ს იხსენიებს მემატიანე გიორგი III-ის ცხოვრებაში (გვ. 249). ამბობს: „ვითარ ითქმის ჰინდოთა აღწერილსა ქილილა-დამანისა შინა იგავი ბუთისა და ყვავისა“ (იხ. დაბეჭდილში კარი დ, გრ. 243, 332 და სხ.),

ეს „ქილილა და დამანა“, ამბობს ვებერი (ტ. VI, გვ. 437), გადმოთარგმნაო (ინდურ ენიდან) უსტად აბულ-პასან რუდექიმ, პოეტმა, რომელიც იყო მეგობარი სამანელ მეფის ნაორისა (914 წლიდან). შლოსერით (ტ. 2, 360), იგავები შიდპაისა „ქილილა და დამანა“ გადმოღებულ იქმნა ინდურ ენიდან აბასიდების ხალიფობას (750—946).

დაბეჭდილ ქილილა და დამონას შესავალის ცნობით (გვ. 2), ინდურად იგი დაუწერია ფილასოფოს შარაბს, უთარგმნია ფალაურად ხოსრო ნუშირვანის (531—579) მკურნალს ზავიას. მერე აბასის (იგულისხმება **აბასიდის** გვარის ხალიფა აბდალაბ აბულ-აშბას ალ საფფახ—750 წლიდან) მე აბდულა (=აბდალა) და აბდულას ძე ალი, ალის ძე ბიპაშედ (=აჰმედ.ვებერ 120), და მოჰამედის ძე ბანსურ (+775 წ. ვაბერ 120) და მოჰამადის ძე ამბუ-ჯაფარ (ასე თვით მანსურს ერქვა. იქვე 125) უბრძანა აბდულას ძე აბულასანს ფალაურიდან ეთარგმნა „თაქარისა“ ენასა ზედა. მერმე სულთანის ძემან ნასრი და ნასრის ძემან აბუსალან სამანელმან (=სამანელმა) სპარსულად თარგმნა და მოშაირეთ რუდექიმ ლექსით შეაყვარა. მასუკან სულთან მაჰმად ღაზნელის (=მაჰმუდ. 798—1030 წ.) ბრძანებით სანაიმ და წასრულამ თარგმნის ნუსხას მისცეს საბოლოო სახე (შესავ. გვ. 3—4).

ფრიად საგულისხმოა, რომ ამ ქილილისა და დამანის ორ იგავით უსარგებლნია ისტორიკოს ერთისა და მეორეს უბედურებაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ ჰყავდა შეგნებული ისტორიკოსები და ყველაფერი თავისებურათ ესურებათ. შევრიც რომ უმტკიცო ერთ-ერთ წერილის ქალბატონს, ახალქალაქის რაიონის კომისარსაც, მაინც ვერ დაუმტკიცებ, რომ არც ახალი წეს-წყობილება და არც კომუნიზმი არ უკრძალავთ პატარა გოგონებს მივიდნენ თავის დიდი-დედასთან და ზაფხული გაატარონ. აი, ამაზედ არის ნათქვამი: კარგის მთქმელს კარგი გამგონე უნდაო; კომუნიზმიც შეიძლება ერთის ხელში საფრთხობელა იყოს, მეორესაში კი—ბედნიერება.....

ცენტრი მოვალეა პერიფერიებში მყოფ მოხელეებს მოსთხოვოს: ბავშებისადმი მეტი მზრუნველობა, მეტი ყურადღება.

მოქალაქე.

ამხ. ყურულაშვილის და ჯუღელის წინადადებით მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა მესამე კომინტერნს და პროფინტერნს. პირველი სხდომა ამის შემდეგ დაიხურა.

მეორე სხდომა ივნისის 17.

სხდომა გახსნა ამხ. ყურულაშვილმა. ამხ. მამაიას მოხსენების გამო შემოტანილ შეკითხვებზე პასუხი გასცა მომხსენებელმა.

პროფკავშირების პრეზიდიუმის ანგარიშების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ყურულაშვილმა პრეზიდიუმის მუშაობა უმთავრესად სწარმოებდა სატარიფო და საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგების ნიადაგზე. თვით პრეზიდიუმში სამი ორგანო იყო. უმთავრეს ფუნქციებს ასრულებდა პრეზიდიუმი და მისი სამდივნო.

სამდივნოს ჰქონდა 52 სხდომა, პრეზიდიუმს—41. მოწვეულ იქმნა გაფართოებული პლენუმი 13-ჯერ. გაირჩა 134 საკითხი. საკითხები იყო უმთავრესად საორგანიზაციო მნიშვნელობის, აგრეთვე—სატარიფო—ეკონომიურის შრომის დაცვის და კულტურულის. ჩატარდა პროფკავშირის წევრთა გაწ-

ამხ. ყურულაშვილის და ჯუღელის წინადადებით მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა მესამე კომინტერნს და პროფინტერნს. პირველი სხდომა ამის შემდეგ დაიხურა.

მეორე სხდომა ივნისის 17.

სხდომა გახსნა ამხ. ყურულაშვილმა. ამხ. მამაიას მოხსენების გამო შემოტანილ შეკითხვებზე პასუხი გასცა მომხსენებელმა.

პროფკავშირების პრეზიდიუმის ანგარიშების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ყურულაშვილმა პრეზიდიუმის მუშაობა უმთავრესად სწარმოებდა სატარიფო და საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგების ნიადაგზე. თვით პრეზიდიუმში სამი ორგანო იყო. უმთავრეს ფუნქციებს ასრულებდა პრეზიდიუმი და მისი სამდივნო.

სამდივნოს ჰქონდა 52 სხდომა, პრეზიდიუმს—41. მოწვეულ იქმნა გაფართოებული პლენუმი 13-ჯერ. გაირჩა 134 საკითხი. საკითხები იყო უმთავრესად საორგანიზაციო მნიშვნელობის, აგრეთვე—სატარიფო—ეკონომიურის შრომის დაცვის და კულტურულის. ჩატარდა პროფკავშირის წევრთა გაწმენდა, რომელიც შეეხო უმთავრესად კერძო მესაკუთრეებს, ძველი ხელისუფლების მოხელეებს. დასრულებულია აგრეთვე წევრთა აღრიცხვა და სხ. პრეზიდიუმს ენერგიული მუშაობის წარმოება მოუხდა მუშათა დასასვენებელ სახლების მოსაწყობად. ამ სახლებში გაგზავნილია 3.300 მუშა-მოსამსახურე. დაბოლოს ამხ. მომხსენებელი შეეხო კულტურულ მუშაობას და პროფკავშირთა ორგანოებს—„მუშას“ და „Рабочая Правда“-ს.

ამით მეორე სხდომა დაიხურა.

საღამოს სხდომა.

სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. იოსებიძე. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო სარევიზიო კომისიის მოღვაწეობას ამ ერთი წლის განმავლობაში. მოხსენების შემდეგ გაიმართა შეკითხვები დაიწრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა: ამხ. ღლონტმა, ბახტიაროვმა, კილოსანიძემ, იზრაილიმ, გიხბურგიმ. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვეს ამხ. იოსებიძემ და ყურულაშვილმა.

სხდომა დაიხურა საღ. 9 საათზე.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ბათომი. ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების ბათომის განყოფილება გაუქმდა.

კომუნალურ მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით არკოსის საზოგადოება კისრულობს სამანქანო ნაწილების მოტანას აჭარის—წყალზე ჰიდრო-სადგურის ასაგებად.

აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს ბათომის განყოფილებამ დაადგინა: აღრიცხოს სამრეწველოში მყოფი ყველა ბავშვები, დაჰყოს იგინი წლოვანობისა და სწავლის მიხედვით და კავშირი გააბას არსებულ საბავშვო ბაღებთან და სხვა საბავშვო დაწესებულებებთან: გამოარკვიოს, თუ ამ დაწესებულებებში რამდენი ბავშვის მოთავსება შეიძლება აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს ფარგლებიდან და რა ზომები უნდა იქმნას მიღებული, რომ ეს ბავშვები „სპარტაკში“ ჩასაწერად მიიზიდონ. დადგენილია, აღირიცხოს წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვები, მოათავსონ პირველი საფეხურის სკოლებში და თვალყური ადევნონ, რომ მშრომელთა ბავშვები სკოლაში დაიარებოდნენ.

სოხუმი. აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის და მის ქვემდებარე დაწესებულებების მოსამსახურეთა საერთო რიცხვიდან შტატის შემცირების გამო დათხოვნილ უნდა იქნეს 234 კაცი. სახალხო განათლების განყოფილებები გადაცემული იქნებიან სამაზრო აღმასკომებისათვის. განზრახულია მაზრებში დახურულ იქნეს ის სკოლები, რომელნიც ცუდათ არიან მოწყობილი და სუსტი პერსონალი ჰყავთ.

მასწავლებელთა მომზადებისა და მათი გონებრივი დონეს ასამაღლებლად, ივნისის 20-ს იხსნება სამასწავლებლო კურსები. კურსები განზრახულია 150 კაცისათვის, რომელთაგან მაზრები იძლევიან 50. კურსის გავლის ვადა—თვენახევრიანია.

აფხაზეთის სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ აპრილ—მაის—ივნისისათვის გამოთხოვნილ 16 მილიარდ მანეთიდან მედიკამენტების შესაძენად მიღებულია მხოლოდ 2 ნახ. მილიარდი, რომლითაც უნდა დაიფაროს აგრეთვე ხარჯები ცენტრალურ სამალიარო სადგურისაც. მალარიასთან ბრძოლის საქმეს აფერხებს ის გარემოება, რომ ამ საკითხის შესახებ თანხმობით ვერ მოქმედობენ საკურორტო სამმართველო და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი. ენერგიულ ბრძოლას მალიარიის წინააღმდეგ აწარმოებს სოლქო კომიტეტი, რომელმაც შექმნა საგანგებო კომისია, რომელშიაც მოიწვია ტეხნიკური ძალები.

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲒᲚᲔᲮᲗᲐᲜ

14. მრეწველობა, შეერთებული მ წად-მოქმედებასთან.

შინა-მრეწველობა საფრანგეთში.

შესანიშნავ და პირდაპირ გახსაცვიფრებელ მაგალითს იმისას, რომ მხოლოდ მრეწველობას, შეერთებულს მიწად-მოქმედებასთან შეუძლია მისცეს ხალხს კეთილ-ცხოვრება, გვაძლევს საფრანგეთი.

გამოანგარიშებულია, რომ საფრანგეთის მთელ მცხოვრებთა ნახევარი სცხოვრობს მიწად-მოქმედებით, ხოლო მესამედი—მრეწველობით და ამ მესამედიდან სწორედ ნახევარი სცხოვრობს სხვილი მრეწველობით და ნახევარიც წვრილით. ასე რომ წვრილ მრეწველობაზე მუშაობს 1.600.000 კაცი, ე. ი. აძლევს საცხოვრებელს 4—5 მილიონ სულსა.

მუშათა ამ რიცხვში არ არიან ჩათვლილნი ის გლეხები, რომლებიც ერთ და იმავე დროს მისდევენ მიწად-მოქმედებასაც და მრეწველობასაც, ასეთები ძლიერ ბევრია საფრანგეთში, მეტადრე ისეთ ადგილებში, სადაც სივიწროვეა მიწისა. გლეხებმა კარგად იციან რა მოელის მათ დიდი ქალაქების ქარხნებში და ეს არის მიზეზი, რომ ესენი მისდევენ ორივე საქმეს...

დღეს საფრანგეთში, მართალია, კვლავაც ბევრია ხელით საქსოვი მანქანა, მაგრამ სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მის ადგილს სწრაფად იპერს **თვით-საქსოვი** მანქანა, ასე რომ 1876 წელს მთელს საფრანგეთში მუშაობდა 328.000 ხელით-საქსოვი დაზგა და 121.340 მექანიკური. ეს რიცხვი ახლა, ეჭვი არ არის, უფრო გაიზრდებოდა.

1863 წელს, როცა ჯერ ზიდევ თითქმის ხსენება არ იყო არსად **თვით-მქსოველ მანქანებზე**, რიბომ გამოსცა წიგნი, რომელშიაც სწერს, რომ სადაც კი სოფლებში ძიწად-მოქმედებასთან ერთად ფართლის ქსოვასაც მისდევენ, შედარებაც არ შეიძლება ამ ხალხის კეთილ-ცხოვრებისა ქარხნის მუშების აუტანელ ცხოვრებასთანაო. რიბო კი იყო პირველი მომხრე და მექომაგე მსხვილი მრეწველობისა! მის დროს ქალაქები სენ-კანტენი, ლილი, რუბე და ამიენი იყვნენ უდიდესი ცენტრები დიდ საქსოვ ქარხნებისა, მაგრამ იმავ დროს კი და იქვე ახლო, ყველა გარშემო სოფლებიც ქსოვდნენ ყოველგვარ ქსოვილებს თავის მამა-პაპურ **ხელით-საქსოვ დაზგებზე** და აა აქ შენიშნა რიბომ, თუ როგორი დიდი და შეუდარებელი განსხვავება იყო ქალაქის მუშებისა და სოფლელების სადგომებსა და ცხოვრებას შორის, ქალაქის მუშები ცხოვრობდნენ ქალაქების განაპირას საკოდავ სახლებში, სოფლელებს კი ყველას კოპწია სუფთა და საკუთარი სახლები ჰქონდათ და თან დიდი თუ პატარა ბაღი და მინდორი.

აღარას ვამბობთ სხვა ათასნაირ წვრილ წარმოებებზე ფეხსაცმელებისა, ქოლგებისა, ღილებისა, ჩოტკებისა, სხვა და სხვა იარაღებისთვის. საჭირო ტარებისა, ხელსახოცებისა, ჩულქებისა, შლიაპებისა, ქსტის, სპილენძის, ოკინის, თიხი ჭურჭლეულობისა, ტანისამოსისა და სხვა და სხვა, რომლებიც ისე იყო ყველგან გავრცელებული, რომ ვერ ნახავდით სოფლებში სახლს, რომ ქალები თუ კაცები და მოხუცნი თუ მოზარდნიც კი თანასწორ მიწად-მოქმედებასთან ერთად რამე, ხშირად, სულ უბრალო ნივთებს, მაგრამ გამოსაყენებელს, არაკეთებდნენ ყოველის უმანქანოდ, პირდაპირ ხელით და უბრალო იარაღით, ასე რომ 1880 წლებში მეორე მწერალი ბოდლიარი სწერდა: „ეჭვს გარეშეა ყველა ის სარგებლობა, რომელიც მოაქვს მიწად-მოქმედებას, შეერთებულსა მრეწველობასთანაო: სოფლები საამურად გამოიყურებიან თავიანთ მწვანით მოსილ ეზოებითა და ბაღ-სახლებითაო, ხალხის სუფთად ჩაცმულობითა და ცხოვრების კეთილ-მდგომარეობითაო“...

საფრანგეთში არის ერთი ადგილი—სოლემა, მარმარილოს მადნითა. აქ გამართულია ერთი დიდი ქარხანა, ორთქლით მოძრავი მანქანებით. ეს ქარხანა სჭრის და აკოპიტებს მარმარილოს ქვებს, ხოლო ქარხნის გარშემო სოფლებში გამართულია აუარებელი წვრილი ქარხნები, რომლებიც სჩარხავენ და აელვარებენ ქარხნისგან დაჭრილ და ამა თუ იმ სახით გამზადებულს კოპიტებს. ხოლო, ტეინაში გამართულია მეორე დიდი ქარხანა, რომელშიაც მუშაობს 1.500 მუშა და ყოველდღე აკეთებენ ას ფუთამდე ფაიფურის ღილებს. ხოლო, როგორც სოლემას მარმარილოს ქარხნის შესახებია ვსთქვით, აქაც მთელ ათ ვერსებზე გარშემო სოფლელი ქალები, დედაკაცები, ბებრები და ბავშვებიც კი ამ ღილებს ასხამენ ძაფით კარტონზე და ასე გადამზადებულებს და ყუთებში ჩალაგებულებს უბრუნებენ ქარხანას გასაყიდათ და გასაზიდათ, სადაც ცალკე არს.

ასევე ზემო მარნის რეგიონალური სოფლებში თითქმის ყოველ ოჯახში აკეთებენ იქ დანებს, სამართლებლებს და სხვა მისთანებს, რომ გროს (გროსი 12 დიუჯინია, ე. ი. 144 ცალი) დანას ჰყიდიან 4—8 მანეთად და სამართლებლებს, აგრეთვე გროსს—1 მან. და 75 კაპეიკად. გავრცელებულია დიდად აგრეთვე კალათების წვნა. დაწნულ კალათებს იქ ყველა მხოლოდ თავიანთ საკუთარ კოოპერატივში აძლევს.

გადვიდეთ ლიონისა და მისი ხუთი დეპარტამენტის მრეწველობაზე. ეს უშველებელი მხარე, რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან ამშვენებს შვეიცარიის ტყიანი მთები, განთქმულია ძველის-ძველიდან თავისი აბრეშუმით და მეაბრეშუმეობით. აქ თქვენ ნახავთ ყოველ ქალაქში და ყველა სოფლებში აუარებელ ქარხანას აბრეშუმის ჰიის მოსაყვანად და მათის ძაფიდგან აბრეშუმეულობის საქსოვად.

1895 წელს მთელს ლიონში აშენებული იყო ხუთ-ექვს და რვა-ცხრა-ათ სართულიანი სახლები, მოწყობილი ყოველგვარი იარაღებით და მანქანებით. ახლა მათში ყველგან ელექტრონის მატორები მუშაობენ.

მოისპო ხელით ქსოვა ქ. ვიენეშიაც, ლიონის სამხრეთით მდებარე. აქ ქსოვენ ერთგვარ მაუდს „მოდდის“ ყოველგვარ მონარჩომიდგან — ბამბის, მატყლის, აბრეშუმის, ძველი ფარდაგ-ხალიჩების და მისთანების და აგზავნიან საფრანგეთის ყველა დიდ ქალაქებში, სადაც მისგან ჰკერავენ ძველ ტანისამოსს და შემდეგ აგზავნიან გასაყიდად მთელ ქვეყანაზე.

მაუდი „მოდდი“ ქ. ვიენში ყოველ-დღე მზადდება 26.000 არშინი. ვიენისავე ქარხნებში მზადდება საუკეთესო ფლანელი, მაუდის შლიაპები და სხვა ქსოვილები ცხენის ბალნიდამ. როცა ამ ქალაქში ფესვს იდგამდა სხვილი მრეწველობა, გარშემო სოფლები, პირიქით, ადიდებდნენ და აუკეთესებდნენ მინდვრებს და ბოსტნებს და მათთან ერთად წვრილ მრეწველობასაც.

ლიონის დასავლეთით, არბრელში, დაარსდა ბევრი დიდი სააბრეშუმო ქარხანა, მაგრამ ადგილობრივი მეაბრეშუმენი მაინც განაგრძობენ აბრეშუმისა და „ბარხატის“ ქსოვას თანასწორ ბაღ-ბოსტნებისა და მინდვრების დამუშავებასთან ერთად.

ლიონის უშესანიშნავესი ადგილი არის ტარარა. აქ ქსოვენ მთელ ქვეყანაზე განთქმულ ლეჩაქებს.—ვერ ნახავთ აქ ოჯახს თუ სახლს, რომ ლეჩაქებს და არშიებს არა ქსოვდნენო,—იწერება რიბო. მე თითონ მინახავსო, განაგრძობს იგი, რომ ოცი წლის ჰაბუკი გლეხი, გომურის გამოხვეტისა და ცხენის მოვლის შემდეგ, მოსჯდომოდეს ქარგას და უმშვენიერესი სახეებით ეკერნა ლეჩაქებიო და ეს ორი სრულიად სხვა და სხვა საქმე არც ეჩოთირებოდა მას და არც ხელს უშლიდნენ ერთმანერთსაო...

ტარარში ყველანი მისდევენ მიწად-მოქმედებას, მაგრამ თანაც აქვთ ხელით-საქსოვი მანქანები, რომლებითაც ქსოვენ ზემოთ-ნათქვამ განთქმულ ლეჩაქებს და არშიებს. ქ. როანოში მუშაობს უკანასკნელი 15.000 მექანიკური დაზგა, რომლებიც ყოველწლივ უშვებენ ბაზარზე 40 მილიონ არშინს ყოველგვარ ბამბეულს, აბრეშუმეულს, ფლანელს, საბნებს და სხვა. სხვათა შორის აქ ირიცხება ათი ათასი მეტი შინა-მრეწველი, რომლებიც მონარჩომიდან ისეთ საბნებს აკეთებენ, რომ თითო ცალი

„როსტომიანში“ მოთხრობილ ამბების მაგვარი ცნობა მოჰყავს ისტორიკოს ლეონტი მროველს და თან დაურთავს: „ესე ვითარი წერილ-არს ცხორებასა სპარსთასა“ (გვ. 23), „... მთაობ ბედნიერი მოიკლა თურქეთს, ვითარცა წერილ არს წიგნთა სპარსთა ცხოვრებისასა არა ყოფილი მართალი, არამედ უმრავლესი ტყუილი“ (გვ. 24).

სჩანს, ლეონტის ხელით ჰქონია რაღაც „წიგნები სპარსთა ცხოვრებისა“, აგრეთვე თვით „სპარსთა ცხოვრებაც“. ძნელია კაცმა თქვას რომ ეს ცხოვრება და ეს წიგნები იყო „როსტომიანი“ ანუ „შაჰთნამე“, თხზულება ფირდაუსის, რომელიც ითვლებოდა სულთან მაჰმუდის (998—9030) კარის სამკაულად (ვეშერ VI, 481. ამ თხზულების უმთავრეს გმირად ითვლება ბუმბერაზი რუსტემი (=როსტომი), რომლის ხსენება ქართულ მწერლობაში პირველად გახდება თამარის მეხოტბეთა თხზულებებში (შავთი 15, ჩახრ. 11, შოთა 195). საფიქრებელია, ამათ დროს „როსტომიანი“ უნდა თარგმნილ ყოფილიყო ქართულად.

1. **„ბარამიანი“**. ამ თხზულების გმირს იხსენიებს დ. აღმაშენებლის მემატიანე ბაჭრამ-ჯუღაელი (ქ. ცხ. 254). დამწერი მისი იყო იგივე ნიზამი: „ესე ამბავი სპასრულებს ნიზამს უთქვამს განქელსა... იეზდიჯერდისმე შარამ, რომელსა სპარსულად ბარამ-გურს უხმობენ“ (წ. კით. № 4627. გვ. 6—2).

არაბებს და სხვა მაჰმადიანებს კიდევ ჰქონდათ მრავალი თხზულებები: ფილოსოფიური ასტრონომიული, მათემათიკური, სამკურნალო. კონსტანტინე დიდმა და მის მემკვიდრეებმა სამღვდელოების ზედგავლენით თავიანთი თავი მეცნიერების მტრებად გამოაცხადეს, უარჰყვეს არისტოტელი, პლატონი, ძველი დროის ფილოსოფია და მკურნალობა, დახურეს საფილოსოფიო სკოლები, დაემყარნენ მარტო დაბადების (ბიბლიის) სიბრძნეს და ადამიანის კურნება მიანდვეს მღვდლებისა და ბერების ლოცვასა და ზეგარდამო სასწაულებს, *)

*) ჯ. დრეპერ „ევროპის გონებითი განვითარების ისტორია“ (გვ. 288): „კონსტანტინე დიდის ბრძანებით დახურულ იქმნენ ასკლეპიონები (სამკურნალოები), ალიკრძალნენ საფილოსოფიო სკოლები, ბიბლიოთეკები განბნეულ და დაქცეულ იქმნენ, ცოდნა შეჩვენებულ იქმნა ვითაარცა ღალატი სარწმუნოებისა, ფილოსოფოსები განდევნილ ან ამოწყვეტილ იქმნენ. წარმოსდგა საშინელი სიცალიერე, რომლის ამოვსება არ შეეძლო არც ერთ მღვდელ-მთავარს. ვინ ჩადგებოდა არქიმედის ადგილას, ან ჰიპპარქისა, სკვლიდისა, ჰეროფილისა, ერატოსთსნისა? ვის შეეძლო მემკვიდრეობა პლატონისა, არისტოტელისა, ჰიპოკრატესა? ორი ათასი წელი გავიდა არქიმედან ნიუტონის მოვლენამდე, ათას შვიდასი ჰიპპარქოდან კეპლერამდე, ჰეროდიდან ამან სერაპიონში დასდგა პირველი ორთქლის მანქანა, ჯემს უატტამდე გავიდა თითქმის 2000 წელი. რა საზარელი სიცალიერეა! მსოფლიოს არას დროს არ უხილავს ესეთი დამლუპველი პოლიტიკა, ვითარცა ბიზანტიის მიერ საერო მეცნიერების შესწავლის აღკრძალვა! ჩვენთვის აწ ძნელიც კია წარმოვიდგინოთ, რა დიდი იყო ამ სისტემით მოვლენილი გონებრივი დაძაბუნება! მრავალი უალრესად შესანიშნავი მეცნიერული თხზულებანი მოუსპო იმ ენას რომელზედაც დაწერილიყო, და ეს ძვირფასი თხზულებები შენახულ იქმნა მხოლოდ სარკინოზთა მიერ არაბულ ენაზე თარგმნით“.

ფოსი, **ალ-ყარაბი** (+950 წ.)—მკურნალი, მწერალი და მასწავლებელი, **ავიცენა** (980—1037), რომელმაც დასწერა წიგნები: ა) სარგებლობა და მნიშვნელობა მეცნიერებისა, ბ) ჯანმრთელობისა და წამლების შესახებ, გ) ფიზიკის კანონები, დ) ასტრონომიული დაკვირვებანი, ე) მათემატიკური თეორემები, ვ) არაბული ენა და მისი განსაკუთრებული თვისებანი, გ) გეზი ხაზები სფეროზე, კ) ევკალიდის შემოკლებანი, თ) დასაბოლოვებელისა და დაუბოლოვებელის შესახებ, ი) ფიზიკისა და მეტაფიზიკის შესახებ, ი) კაცობრიობის ცოდნათა ენციკლოპედია, ოც ტომად. კვლავ დიდებული მოღვაწენი **ალ-გაზალი**, ბაღდადის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსები სული (+946), ბელაძორი, იბნ-კუტეობა, ტაბარი (839—923), მასუდი (956); ამათ გარდა გაითქვნენ კიდევ **ფილოლოგები** ასმაი, ხალილი, აბუ-უშეოდა, იბნ-ალარაბი, მუ-ბარრად (+898), იურიდიული და პოლიტიკური ტრაქტატების, ალგებრის და გეომეტრიის ავტორები (IX საუკ. იბნ-მუსა, X ს, ალ-ბატანი და მრ. სხ.), უდ-დესი პოეტები: ა) იბნ-ერ-რუმი (+896), ბ) იბნ—მუტაზ (908), გ) იბნ-დორეიდ (933), დ) მუტანნაში (+965), ე) ჰაფისი, ვ) ტოგრაი (1121), ხამაკშარი (1143), ზ) გამადანი (1054—1120), თ) რუდეკი ქალილა და დამანას ავტორი, თ) კაო-კავუს, ი) ფირდაუსი, ია) ანსარი (+1029). ეს უკანასკნელნი ცხოვრობდნენ სიუვლთან მაჰმუდის (998—1030) დროს. მის კარს ღაზნას ცხოვრობდა 400 პოეტი, რომელთათვის დაეარსებინა აკადემია და „მეფედ პოეტებისა“ იწოდებოდა ანსარი, ავტორი თხზულებისა „ვამიყი და ასრი“. ბუხარა მაშინ ითვლებოდა მაჰმადიანთა მწერლობის შუაგულად, (შლისერ 2, გვ. 159: ვეშრ V, 204, VI 481).

კიდევ იყვნენ პოეტები ენვერი (+2152), სენას (1180) ვატვატ (1122), ნიზამი (+1180, განჯელი (იხ. ზემო).

აი, ამ მაჰმადიანურ განათლებას შეუძლებელი იყო არ შემოენათებინა მახლობელ საქართველოში და აქაც არ მოეფინა თავისი ყარაბადინები, თავისი კვლევა-ძიების ნაშთები, თავისი „იადგრები“ (=სახსოვრები), თავისი „გუჯრები“ (=სიმტკიცენი. ქართულად ითარგმნა მათი სწავლა ზოდიაქოს, **ალ-ყარაბი** (+950 წ.)—მკურნალი, მწერალი და მასწავლებელი, **ავიცენა** (980—1037), რომელმაც დასწერა წიგნები: ა) სარგებლობა და მნიშვნელობა მეცნიერებისა, ბ) ჯანმრთელობისა და წამლების შესახებ, გ) ფიზიკის კანონები, დ) ასტრონომიული დაკვირვებანი, ე) მათემატიკური თეორემები, ვ) არაბული ენა და მისი განსაკუთრებული თვისებანი, გ) გეზი ხაზები სფეროზე, კ) ევკალიდის შემოკლებანი, თ) დასაბოლოვებელისა და დაუბოლოვებელის შესახებ, ი) ფიზიკისა და მეტაფიზიკის შესახებ, ი) კაცობრიობის ცოდნათა ენციკლოპედია, ოც ტომად. კვლავ დიდებული მოღვაწენი **ალ-გაზალი**, ბაღდადის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსები სული (+946), ბელაძორი, იბნ-კუტეობა, ტაბარი (839—923), მასუდი (956); ამათ გარდა გაითქვნენ კიდევ **ფილოლოგები** ასმაი, ხალილი, აბუ-უშეოდა, იბნ-ალარაბი, მუ-ბარრად (+898), იურიდიული და პოლიტიკური ტრაქტატების, ალგებრის და გეომეტრიის ავტორები (IX საუკ. იბნ-მუსა, X ს, ალ-ბატანი და მრ. სხ.), უდ-დესი პოეტები: ა) იბნ-ერ-რუმი (+896), ბ) იბნ—მუტაზ (908), გ) იბნ-დორეიდ (933), დ) მუტანნაში (+965), ე) ჰაფისი, ვ) ტოგრაი (1121), ხამაკშარი (1143), ზ) გამადანი (1054—1120), თ) რუდეკი ქალილა და დამანას ავტორი, თ) კაო-კავუს, ი) ფირდაუსი, ია) ანსარი (+1029). ეს უკანასკნელნი ცხოვრობდნენ სიუვლთან მაჰმუდის (998—1030) დროს. მის კარს ღაზნას ცხოვრობდა 400 პოეტი, რომელთათვის დაეარსებინა აკადემია და „მეფედ პოეტებისა“ იწოდებოდა ანსარი, ავტორი თხზულებისა „ვამიყი და ასრი“. ბუხარა მაშინ ითვლებოდა მაჰმადიანთა მწერლობის შუაგულად, (შლისერ 2, გვ. 159: ვეშრ V, 204, VI 481).

კიდევ იყვნენ პოეტები ენვერი (+2152), სენას (1180) ვატვატ (1122), ნიზამი (+1180, განჯელი (იხ. ზემო).

აი, ამ მაჰმადიანურ განათლებას შეუძლებელი იყო არ შემოენათებინა მახლობელ საქართველოში და აქაც არ მოეფინა თავისი ყარაბადინები, თავისი კვლევა-ძიების ნაშთები, თავისი „იადგრები“ (=სახსოვრები), თავისი „გუჯრები“ (=სიმტკიცენების შესახებ არაბულ სახელების დართვით ზოდიაქონებასა (იხ. ხელნაწ. 1210 წლ. № 65) ტფილისში მათ ჰქონდათ აბსერვატორია. 1080 წლის ახლო ხანს ომარ ხეანმა უწინარეს ყოველთა დაწვრილებით, თვით წამამდე გამოიძია გზის წელიწადის სიგრძე. 1258 წელს გულაგუს ბრძანებით მოსულს, ტფრლისის ყაჯვინის ობსერვატორიაჯდირექტორებმა ალ-ფაკრა-ალმარაგიმ, ალ-ფაკრა-ალ-ხალატიმ და ნაგშედდინა—შენ-დებირ-ნამ შეადგენს ასტრონომიული ტაბალები 12 წლის განმავლობაში მათში ნაჩვენებია არა თუ მნათობთა სავალი გზა, მათი სიგრძე სიგანე და ამოსვლა, არამედ დართულია კიდევ კატალოგი უძრავ ვარსკვლავებისა და გამოანგარიშებული სხვა და სხვა ხანანიც (შლოსერ, 2 გვ. 360). არაბთა კულტურას ჯერ ისევ მე-X საუკ.-მდე შეეღია ტალღები, სპარსეთისა და ინდოეთისა. შესაძლებელია ამავე დროს ინდოეთიდგან გადმოიტანეს—იოპეს საწიგნეში „ბალავარი“ თარგმნეს არაბულად და იოანე ბერმა მათ ქართულად ნათარგმნი პირი „გამოუგზავნა ექვთიმეს ათონს და მან იგი ქართულიდან თარგმნა ბერძნულად (იხ. „ბალავარი“ და ჩვენი ხელნაწერი გამოკვლევა „ჰბოთამა ბუდაა და ეფიკიმე მთაწმინდელი“).

მეორეს მხრივ, „უმაროზის—მიერ ტროადელთა შესახებ თხრობა, აქილოველთა ამბავი, ოისენს თავგადასავალი, მაკედონელის ისტორია და სხვ. გმირთა სიქველენი არა თუ იციან მარტო ჩვენმა მემატიანებმა (ქ. ცხ. 250. და სხ.) არამედ ძველი დროის მელექსეთაც.

ყველა ამ ცნობებიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ მხოლოდ ერთი დასკვნა, რომ საქართველოს ერს, მომწყვდეულს აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის, მუდამ ფხიზლად ეჭირა თვალი და უმალვე იძენდა ყოველივე თვალსაჩინო კულტურულ მიღწეულობას ორივე მხრიდან, აღმოსავლეთიდგან და დასავლეთიდგან.

ამიტომ, ვიმეორებთ, ბუნებრივია, რომ „ვეფხის ტყაოსანსა“, „თამარიანსა“ და მათებრ თხზულებებში, თვით ქართულ ენაშიაც გვხვდებიან არაბისმები პასსიზმები, ალლინისმები.

მოსე ჯანაშვილი.

იყიდება მანეთად და, ხშირად, ათ შაურათაც. ამ ნაბანებს მეტ წილად აგზავნიან ბრაზილიაში, სადაც დადი გასავალი აქვს მას...

დიდი მწარმოებელი ქალაქია რიონი, მაგრამ სოფლის ხალხი ძაინც თავს არ ანებებს შინა-მრეწველობას და ოცი ათას ქალ-დედაკაცამდე განაგრძობენ პატარა მანქანებზე ათასნაირ სახისა და მოხატულობის არშიების ქსოვას, რომელიც ვრცელდება და იყიდება მთელ ქვეყანაზე. არ გეგონოთ, რომ მარტო ქსოვით და ზემოთ-მოხსენებულ ხელობებით ამოიწურებოდეს ჭაური შინა-მრეწველობა. არა. იქვე და მათსავე გვერდით ჰყვავის და ვითარდება მრავალი სხვა წარმოებაც, რომლის ჩამოთვლას აქ საჭიროდ არა ვსთვლით. ასე: თუმცა საფრანგეთში უმაღლეს ხარისხამდე არის ასული მსხვილი მრეწველობა, ლიონისა და სხვა ჩამოთვლილ მაზრების ადგილებმა მაინც შეინარჩუნეს სოფლური სახე და წარმოადგენენ ერთს საუკეთესოდ დამუშავებულს კუთხეს მთელს საფრანგეთში. შესდგავთ ფეხს თუ არა ფეხს ამ მხარეში, ხედავთ და გრძნობთ ყველგან—ტყეში, მინდორში, მთაში, ვენახში, ბაღში, ბოსტანში და შინ და გარეთ, რომ აქ ბუდობს და მოქმედებს საფრანგეთის ხალხის ჰენია! გრძნობ და ხედავ, თუ რატომ არის საფრანგეთი მდიდარი ქვეყანათაგანი მთელს ევროპაში!..

ივ. როსტომაშვილი.

ᲡᲐᲙ. ᲛᲘᲬᲐᲗ-ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

დიდი ხანია რაც თქვენი უწყების ყოფილი თანამშრომელი,—გურიის ტყეების გამგე, მოქ. კ. ჯაველიძე, თქვენ დაითხოვეთ სამსახურიდან და მიეცით პასუხისგებაში, თქვენი განკარგულება გამოიწვია ჩემმა წერილმა გაზეთ „ტრიბუნა“-ში (იხ. „ტრიბუნა“ № 424.)

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მოქ. კ. ჯაველიძე ჩემთან იწყებს კამათს ბათომის გაზეთის „ბრძოლის“ საშუალებით. გაზეთმა „კომუნისტმა“ და „მუშამ“ არ ცილო მოქ. კ. ჯაველიძის პასუხი, მაგრამ „ბრძოლაში“ მაინც შესძლო კ. ჯ—ძემ რამდენიმე წერილის მოთავსება, რომლიდანაც თავს იმართლებს და იქ, სადაც მე აღვნიშნავდი მის გადაყენებას, სამსახურიდან დათხოვას და ბოროტ-მოქმედებისათვის ორჯელ დატსაღებას, იქ კ. ჯაველიძე ხედავს თავისი თავის ამაღლებას უმაღლეს თანამდებობაზე. კ. ჯაველიძეს ერთის შეხედვით ამისი დამტკიცება სურს სამედიატორო სასამართლოში ⁊ რიხიანი წინადადება მომცა გავყოლოდი სამედიატორო სასამართლოში. ბევრი საბუთი მქონდა—არ გავყოლოდი მოქ. ჯაველიძეს ამხანაგურ სასამართლოში, მაგრამ მოხეხსენებათ, ბევრი გამოქექილი მოხელე მოუსერხებელს ახერხებს და იმ დროს, როცა საბჭოთა რესპუბლიკაში ასეთი ფართო მაშტაბით ხდება წმენდა კაეშირის და შემცირება შტატების, ბევრი ჯაველიძისებური მოხელეები ახერხებენ სამსახურში დარჩენას და ბოროტ-მოქმედებათა განგრძობას. ამისათვის ზნეობრივათ ფრიად საძნელო იყო ჩემთვის მაგრამ კ. ჯ—ძეს გავყევი სამედიატორო სასამართლოში. მინდოდა ურწმუნო თომასთვისაც ახდილი ყოფილიყო. კ. ჯ—ძის სახე. მაგრამ კ. ჯაველიძე დღეს სამედიატორო სასამართლოს გაურბის და ამასთან ისეთ თავხედობამდი მიდის, რომ სწერს, თითქოს მე გაურბოდე სამედიატორო სასამართლოს. აი ფაქტიც. კ. ჯ—ძე თავის პირველ წერილში სამედიატორო სასამართლოს მოითხოვდა ოზურგეთში.

ჩემს საპასუხო წერილში მე ამის შესახებ ვწერდი შემდეგს: „თქვენ სწერთ: „თქვენ მიერ წამოყენებულ ბრალდებებს, როგორც გაზეთიდან სჩანს... ადგილი ჰქონდა გურიაში და საქმეც ოზურგეთში უნდა გაირჩესო“. მოქ. კ. ჯ—ძევ! ჩემს წერილში იგი სჩანს, რომ თქვენ ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეთ ბათომში, განსვენებული ჭიქოძის მიერ წარმოებულ ბრალდებებიდან იგიც სჩანს, რომ თქვენ ავარაკ ბახმაროზე არიგეთ სახაზინო ტყე არჩევებში (დამფუძნებელი კრების წევრების საპატივცემოთ უთუოდ პროტექცია გჭირდებოდათ) და აბა ამისათვის საქმის გარჩევა ბათომში ჩავიტანოთ უნდა, ან ბახმაროზე ავიტანოთ არა? თქვენვე ბრძანებთ, რომ საბუთები ტფილისში ინახება სატყეო განყოფილებაში“ და ამას იმასაც თუ დაუმატებთ, რომ თქვენ კარგათ გიცნობენ მიწათ მოქმედების კომისარიატის თანამშრომლები, მაშინ თუ თქვენ გულწრფელათ გწადდათ საქმის გარჩევა, უსათუოდ ოზურგეთში რათ ეწიწებით?“. ამის შემდეგ კ. ჯაველიძემ დიდის გამბედაობით „განმეორემითი წინადადება მომცა, გავყოლოდი „სამედიატორო სასამართლოში. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ თავისუფალ მოქმედებისას“-ო.

სხვათა შორის ჩემს პირველ საპასუხო წერილში, როპელიც მე ზევით მოვიყვანე ერთ პირობას კიდევ ვუქნებდი კ. ჯაველიძეს: თქვენ ასახელებთ მედიატორებათ ამხ. თედორე დოლიძეს და იულიანე სურგულაძეს. თუ ორთავე ამხანაგი გაზეთის საშუალებით მაცნობებენ, რომ ისინი თანახმა არიან თქვენი წარმომადგენელნი იყვნენ სამედიატორო სასამართლოში იმის შემდეგ, თუ ისინი ერთს ან ორ კაცს მაინც ნახავენ მთელ გურიაში, რომ კ. ჯ-ძეზე კარგი წარმოდგენის იყვეს და თვით ისინი ოდნავ მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ პატიოსანი ხართ, მე მაინც გამოგყვებით სამედიატორო სასამართლოში იმ აზრით, რომ იმ ორსაც გავაცნო თქვენი თავი“-თქო. აი ეს პირობა შემისრულა კ. ჯაველიძემ და ერთი სიტყვაც კი არ დაათავა მთავარ საგანზე—სად და როგორ პირობებში უნდა მომხდარიყო სამედიატორო სასამართლო. რატომ მოიქცა ასე კ. ჯაველიძე! იმიტომ, რომ მართალია, რასაც ვწერდი კ. ჯაველიძის საპასუხო წერილში (იხ. „ტრიბუნა“ № 178.) „კ. ჯ-ძე ასეთ პირდაპირ გზას გაურბის. მიწად-მოქმედების კომისარიატთან მისვლის წელი არ აქვს. უნდა ჩემი თანხმობით სამედიატორო სასამართლო ისეთ პირობებში ჩააყენოს, რომ იქ ადვილი დარჩეს მოხვეული გზებით მისი გამართლების განაჩენის გამოტანა და შემდეგ კვლავ დიდი სამსახურის შოვა“. ამიტომ იყო და არის, რომ კ. ჯ-ძე ოზურგეთს არ შორდება. მე კი გადამწყვეტილი მქონდა თუ სამედიატორო სასამართლო მოეწყობოდა, ეს უნდა მომხდარიყო ქ. თბილისში. ნახსენებ საპასუხო წერილში მე ვსწერდი: „სასამართლო უნდა მოეწყოს ქ. ტფილისში ამის შესახებ მე ვსწერდი ზემოხსენებულ წერილში. კ. ჯაველიძე ამაზე არაფერს ლაპარაკობს. უნდა ვიფიქროთ, რომ ის საბუთები, რომლებიც მე ხსენებულ წერილში მოვიყვანე, ჯაველიძისათვის მისაღებია; იმ საბუთებს ვემატებ, რომ ჩემ წერილში წამოყენებული ბრალდების დამტკიცება მე თავისუფლათ შემიძლია ქ. ტფილისში, სადაც 15-დე მოწმე მყავს და სადაც ცოცხალი დოკუმენტებიც მაქვს“. და საბრალო კ. ჯაველიძე კი დღეს სწერს (იხ. „ბრძოლა“ №40) „ჩამობრძანდით ოზურგეთში, რადგანაც ამის შეძლება შენ ჩემზე მეტი გაქვს“-ო. თითქოს ჩემს „ჩაბრძანებაზე“ და ჯაველიძის „ამობრძანებაზე“ იყოს საქმე.

აქ აშკარათ ვხედავთ, რომ ჯაველიძეს სამედიატორო სასამართლოზე პრიმიტიული წარმოდგენა აქვს და დიდი საქმე, რომელიც მის შესახებ აღძრულია, ერთი „ჩაბრძანებით“ და „ამობრძანებით“ გათავდება.

ხარჯებს ერიდება ბ. კ. ჯაველიძე. მე უფრო მოცლილი და შეძლებული მნახა.

ნეტავი საიდან? თხა, ყველი, კარაქი, ქათამი, კვერცხი მე ხომ არ ამიღია ქრთამათ? ნუ თუ დღეს გაახსენდა კ. ჯანელიძეს, რომ ეგ საქმე დიდ ხარჯებთან კი არა დიდი დროისა და ენერგიის და ხარჯვასთან არის დაკავშირებული? რათ ამდენს ხანს ვერ გაიგო ეს ჯაველიძემ. განა მე ამაზე არ ვუთითებდი მას ყოველთვის? განა მე არ ვწერდი, რომ „საქმისათვის აჯობებდა“ კომისარიატისათვის მიგემართათ, „რადგანაც მას აქვს საშუალება, თუ საქმე კიდევ გამოურკვეველია, გამოარკვიოს, გამოიძიოს...

მიწად - მოქმედების კომისარიატს სამაგისო აპარატი აქვს, ხალხიც ჰყავს და თანხაც აქვს“. და ახლა გვიპასუხებს კ. ჯაველიძე—მე შეძლება არ მაქვსო.

დავეთანხმოთ კ. ჯაველიძეს, რომ იმას საშუალება არ აქვს, მაგრამ რათ ვერ წარმოუდგენია კ. ჯაველიძეს, რომ ამის საშუალება არც მე მაქვს და აბა ჰკუათმყოფელს, ვის მოუვიდოდა თავში, რომ ეგ საქმე უხარჯოდ გამოირკვეოდა? კ. ჯ—ძე ამბობს—მოწმეებს ვერ ჩამოვიყვან ტფილისშიო. მე რომ ვწერდი ტფილისში 15-დე მოწმე მყავსთქო, ჯაველიძეს რათ არ მოუვა თავში, მეც არ შემიძლია 15 კაცის ჩაყვანა ქ. ოზურგეთში. მაგრამ ჩემსა და ჯაველიძის შორის დიდი განსხვავებაა. მე მართლაც მყავს 15 მოწამე ისეთი, რომელთა ხელში გაუვლია ჯ—ძის საქმეს არა ერთხელ და ორჯელ. ჯაველიძეს კი არავინ არ ჰყავს ჩამოსაყვანი ოზურგეთიდან.

ტყუილად ნუ იკატუნებს თავს. გვიან არის გაქცევა ბრძოლის ველიდან. ჯაველიძე წინა წერილში იმუქრებოდა: თუ სამედიატორო სასამართლოში არ გამყობი, „ვიტოვებ თავისუფალ მოქმედების უფლებასო“ და უკანასკნელად კი აცხადებს: თუ არ გამყევით სამედიატორო სამართალში „ვწყვეტ თქვენთან ყოველივე კამათს და უფლებას ვიტოვებ გიწოდოთ თქვენ მხრთალი და ბნელი აზრების მქონეო“. როგორ? ამით გათავდა ჯაველიძის მუქარა? როგორ ეს იყო მიზანი ჯაველიძის? ჩემთვის საწყენი იგი იქნებოდა, რომ ჯაველიძე ჩემზე კარგი აზრის ყოფილიყო...

უკანასკნელათ ამ წერილით მინდა მივაქციო მიწათ მოქმედების კომისარიატის ყურადღება იმ გარემოებას რომ, თუ კომისარიატისათვის კ. ჯაველიძის პიროვნება გამოურკვეველია და მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები კიდევ დაძტკიცებას მოითხოვს, თუ ჯაველიძის პიროვნება კომისარიატისათვის სავსებით გარკვეული არ არის, მაშინ მე ვიღებ რა პასუხისმგებლობას წამოყენებულ ბრალდებათა დამტკიცებისა, გთხოვთ რომელიმე თქვენს პასუხისმგებელ თანამშრომელს მიანდოთ საქმის გამორკვევა, რომელსაც მე მივაწვდი ახალ ფაქტებს და მასალებსაც კ. ჯაველიძის შესახებ...

გურული.

ხელოვნება

გამოცდები პირველ სახელმწიფო კონსერვატორიაში.

ამ დღეებში დასრულდა გამოცდები რესპუბლიკის მუსიკალურ განათლების უმაღლეს სასწავლებელში. ამიტომ შესაძლებელია ნამუშევარის ჯამის გაკეთება.

გამოცდების მნიშვნელობას სათანადო ყურადღება მიაქცია, როგორც კონსერვატორიის დირექციამ, ისე სამხატვრო საბჭომ. თვე-ნახევრის განმავლობაში გამომცდელი კომისია, (რომელიც შესდგებოდა მუსიკალურ განათლების თვითეულ დარგის პროფესიონალებისაგან) სისტემატიურად ახდენდა გამოცდებს კონსერვატორიის დირექტორ ზაქარია ფალიაშვილის თავმჯდომარეობით და ინსპექტორ ჩემოდინოვის თანადასწრებით დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული არა მარტო სპეციალურ საგნებს, არამედ ზოგადსაც, რომელიც თანამედროვების მოთხოვნილებით შეადგენს კონსერვატორიული განათლების Conditio Sine qua non-ს. მოწაფე, რომელიც ვერ ჩააბარებს გამოცდებს: ჰარმონიაში, მუსიკის ენციკლოპედიაში, მუსიკის ისტორიაში, თეორიაში და კონტრაპუნქტში, ვერ მიიღებს დიპლომს, როგორი ნიჭის მქონეც არ იყოს ის. თეორიულ განათლების სათავეში სდგანან ისეთი საქმის, ისეთი მცოდნენი, როგორიც არიან ზაქ. ფალიაშვილი, კუშნარიოვი და ჩუგუნოვი.

მეტად სერიოზულათ არის დაყენებული საფორტეპიანო განყოფილებაც. ყოველი კლასი ინდივიდუალურია. მაგალითად პროფ. აისბერგის კლასი განირჩევა სწავლების აკადემიურობით. ამ კლასის მოწაფეებს კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ უშუალოდ ოპერაში შეუძლიათ გამოვიდენ ესტრადაზე. მართალია, ის რეპერტუარი, რომელიც გაიარეს იმათ პროფესორთან ითვლება დამთავრებულად (განსაკუთრებით კლასიკები: ბახი, ბეთხოვენი და მოცარტი), მაგრამ საესტრადო შესრულება, რომელიც ითხოვს განსაკუთრებულ მიღწევას, შინაარსს და უმთავრესად მრავალ-ფეროვან რეპერტუარს,—ამ კლასის მოწაფეებს ყოველივე ამის მოცემა არ შეუძლიანთ. მაგრამ მათთვის ადვილია ესტრადაზე გამოსვლა ცოტა გაუმჯობესების შემდეგ და მაშინ შესრულებაც იქნება დასრულებული გარეგნული მხრით.

აიხბერგთან დაამთავრა ბეტათ ნიჭიერმა მოწაფე ქალმა ევტიევამ (concerto es dur ლისტის), მაგრამ ესტრადისთვის ჯერ კიდევ მოუმზადებელია. უეჭველია, ევტიევას ექნება ბრწყინვალე მომავალი.

მეტად ნიჭიერია მოწაფე ქალი ილენა ასაროვა. მოწაფენი ბაგერდოვა და ხაჩატუროვი, რომელთაც დაასრულეს კონსერვატორია, არიან საშვალო ნიჭის. პროფ. პრუდკოვსკის კლასი აისბერგის კლასთან შედარებით ნაკლებ აკადემიურია, მაგრამ მოწაფეებს აქვთ იქ უფრო ფართე რეპერტუარი. საესტრადო მომზადებით კონსერვატორია დაამთავრა მოწაფე ქალმა მარგარიტა ოსმან-გიულიმ (დიდებული ნიჭი აქვს) და მიხაილოვა მირზაშვილმა (პედაგოგი და არა თავისუფალი მხატვარი). უკანასკნელი კარგი ნიჭის პატრონია და აქვს ბრწყინვალე მომავალი.

საექსტერნო გამოცდები ჩააბარა მოწაფე გარაყანიძის ქალმა. მეტად ნიჭიერია მოწაფე ქალი ლიდია გარბუზოვა პროფ. კესნერის კლასის დამთავრებული (შუმონის არაბესკები). პროფ. ფელნერის საჰიანურო კლასი დაამთავრა მოწაფე ბერგევმა. ამ მოწაფეს მე ვიცნობ (ბერლინში (გლოზუნოვის კონცერტი), ვინაიდან სერგეევის ბინა სრულიად განსაკუთრებულია და მეჰიანურე სრულებით მზად არის სერიოზულ საკონცერტო ესტრადისთვის. პროფ. ვილშაუს კლასი წელს უფრო სუსტადაა წარმოდგენილი.

მშვენიერადაა წარმოდგენილი სიმღერის კლასი, განსაკუთრებით პროფ. ჯაყელის. მასთან დაამთავრა კურსი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულმა მუსიკალურმა მომღერალმა ვალერიან კაშაკაშვილმა, რომელსაც აქვს ძლიერი ბარიტონი ფართე დიპოზონით. კაშკამგული მომავალ სეზონში მიწვეულია სახელმწიფო ოპერაში. მოწაფე ქალები, ევტიევა, ჰასაროვა და მოწაფეები, სერგიევი და კაშკამგული არიან მიჩნეული ევროპაში გაგზავნის ღირსად. მეტად კარგათაა დაყენებული ჯოკალური კლასი პანინასი, მაგრამ ჯერ გამოშვება არ ყოფილა.

რეშიმოვას კლასი დაამთავრა მოწაფე ქალმა შმიდტმა. მომღერალი ღამაზი ხმით mezzo-soprono მოსჩანს კარგი შკოლა. დამსახურებულ პროფ. რიდნოვის კლასი დაასრულა მოწაფე ქალმა რუდენკომ —მომღერალი მშვენიერი ხმით mezzo-soprano თითქმის contralto მომღერალი სრულიად მომზადებული სცენისათვის. კარგათაა დაყენებული პროფ. ზელიონოას კლასი. დასრულა კურსი მოწაფე ქალმა ოლეინიკოვამ მომღერალი მომზადებულია სცენისათვის: მუსიკალური და კარგის ტეხნიკით აღჭურვილია მოწაფე კამილევსკაია (ჭ-ონ მიხალსკაიას კლასი).

პ. ბებუთოვი.

წითელარმიელთა კლუბი. ყოველ კვირეულათ წითელ არმიელთათვის იდგმება ქართული წარმოდგენები ხუციშვილის ხელმძღვანელობით.

ცხოვრების ჭარიშხალი. სომხის მწერალმა დაწერა ახალი პიესა, „ცხოვრების ჭარიშხალი“ რომელიც გადაითარგმნა რუსულათ და ქართულადაც.

მწერლების კავშირი, ახლო მომავალში განზრახულია ახალ და ძველ მწერმლთა კავშირის შეერთება.

წითელარმიელთა შემოქმედება. ამ დღეებში გამოვა წითელარმიელების სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი ქართულ ენაზე „წინ“ ხიხაბის ხელმძღვანელობით.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი
იწვევს სამალარიო ექსპედიციაში
ᲒᲐᲛᲒᲔ-ᲔᲥᲘᲛᲘ,
რომელიც უნდა იცნობდეს მალარიას ეპიდემიოლოგიურად და კლინიკურად. ექსპედიცია გაემგზავრება სამურძაყანოში (გალის რაიონში) და კახეთში (ალაზნის გალმა) გამგე-ექიმისათვის სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა.
მთხოვნელებმა უნდა მიმართონ წითელ ჯვარს curriculim vitae-ს წარდგენით (თაიროვის შესახვევი № 5) 10—2 საათამდე არა უგვიანეს 28 ივნისისა.
2—1

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ სტუდენტის სალექციო წიგნაკი (მატრიკული) № 976, გაცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან თეკლე იმნაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ᲐᲫᲘᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲜᲣᲡᲮᲐ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲡ

მატ. № 1	სწრაფი მოსკოვში შაბათობით	1600
მატ. № 1	სწრაფი პეტროგრ. პარასკეობ.	
მატ. № 1	„ „ სამშაბათ.	
მატ. № 2	„ ბათუმში სამშაბათ.	16.40
მატ. № 3	როსტოვში ყოველდღე	23.35
მატ. № 3	ქახეთში „	7.15
მატ. № 4	ბათუმში „	8.05
მატ. № 8	ბათუმში „	20.40
მატ. № 20	ბორჯომში „	15.20
მატ. № 21	ბაქოში „	11.25
მატ. № 22	ბათუმში „	0.20
მატ. № 3	ერივანში კენტი რიცხვში	18.00
მატ. № 35	ქახეთში „ „	10.35
მატ. № 31	ჯულფაში წყილ რიცხვში	23.00

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ

მატ. № 1	ბათუმიდან შაბათობით	14.40
მატ. № 2	მოსკოვიდან სამშაბათ.	
მატ. № 2	პეტროგრადიდან ოთხშაბათ.	15.30
მატ. № 2	პეტროგრადიდან პარასკეობ.	
მატ. № 3	ბათუმიდან ყოველდღე	22.15
მატ. № 4	როსტოვიდან „	6.35
მატ. № 4	ქახეთიდან „	21.50
მატ. № 7	ბათუმიდან „	8.50
მატ. № 19	ბორჯომიდან „	8.00
მატ. № 21	ბათუმიდან „	4.20
მატ. № 22	ბაქოდან „	14.50
მატ. № 4	ერევნიდან წყვილ რიცხვში	10.20
მატ. № 3	ქახეთიდან „ „	18.45
მატ. № 34	ჯულფიდან კენტ რიცხვში	18.15

ᲡᲐᲐᲒᲐᲠᲐᲙᲝ

მატ. № 18	ბორჯომში კვირაობით	7.10
მატ. № 16	ხაშურში შაბათობით და უქმის წინადღით	1.55
მატ. № 17	ბორჯომიდან კვირაობით	11.20
მატ. № 15	ხაშურიდან კვირაობით და უქმის წინადღით. . .	5.10

ტირაჟი 1800 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 384 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტეინის ქუჩ. №. 4